

შპს „ფრემ ეარი“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ფრეშ ეარი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
				ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1717222	806831	1348087	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	996907	159545	122509	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	39325	141580	58167	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	531744	872583	225211	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	531744	872583	225211	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	142111	171281	126770	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	191	276	360	
ძირითადი საშუალებები	88790	79668	60390	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	3516290	2231764	1941494	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	5319	4166	206721	
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	127378	136120		
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	30183	5539	4049	3.5
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1465202	1215381	727073	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1628082	1361206	937843	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1888208	870558	1003651	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1888208	870558	1003651	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3516290	2231764	1941494	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3427309	2151820	1880744	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1628082	1361206	937843	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 24.09.2024 წ.				
დირექტორი: _____	ზურაბ ზურაბაშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ფრეშ ეარი"					
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება					
			ერთეული: 1 GEL		
			საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
			2023	2022	
ნეტო ამონაგები			5869221	2119047	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			25328	21562	
- მომსახურების გაწევიდან			5843893	2097485	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან					
- სხვა ამონაგები					
გაყიდვების თვითღირებულება			-2907905	-729421	3.6
საერთო მოგება			2961316	1389626	
სხვა საოპერაციო შემოსავალი					
დასაქმებულთა ანაზღაურება			-1637673	-1029729	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი			-23480	-32826	
საპროცენტო შემოსავალი					
საპროცენტო ხარჯი					
ოჯარის ხარჯი			-46761	-23013	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი			-183231	-175798	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები			-1891145	-1261366	
საოპერაციო მოგება			1070171	128260	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა					
მ.შ. - ფინანსური აქტივების					
- მარაგების					
- სხვა არაფინანსური აქტივების					
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.			-1187	-139037	
მიღებული დივიდენდები					
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			-16099	1302	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან			1052885	-9475	
მოგების გადასახადის ხარჯი			-5699	-23974	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი			1047186	-33449	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი					
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი					
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)					
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:					
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			1047186	-33449	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			870558	1003651	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)					
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			-30053	-135853	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			517	36209	
კაპიტალის სხვა ცვლილებები					
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			1888208	870558	3.9
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 24.09.2024 წ.					
დირექტორი: _____			ზურაბ ზურაბაშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.					

შპს "ფრემ ეარი"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული:1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	990724	-216161
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-31348	-51638
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-41915	-129060
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	917461	-396859
სავალუტო კურსის ეფექტი	-7070	-144397
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	806831	1348087
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1717222	806831
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემებლად 24.09.2024 წ.		
დირექტორი: _____	ზურაბ ზურაბაშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფრეშ ეარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 27 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404949623, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქ. N 29-29ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 70%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561). კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელია გიორგი ზურაბაშვილი (პ/ნ 01011037792).

1.3. კომპანიის დირექტორია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარემონტო-სამშენებლო მომსახურება, კერძოდ გათბობა-კონდიციონირება-წყალმომარაგების სამუშაოები. კომპანია სამუშაოებს ახორციელებს ლოკაციის 7 ადგილიდან, რომლიდანაც 6 არის ქ. თბილისში, ერთი - ქ. ქუთაისში,

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2023 წელს შეადგენდა 52 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) თანახმად, რადგან კომპანია თავისი მაჩვენებლებით გახდა მესამე კატეგორიის საწარმო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია **მსს ფასს**-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი **მსს ფასს**-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი **სააღრიცხვო პოლიტიკა**:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე და სადეპოზიტო საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთისათვის/ამორტიზაციისათვის გამოიყენება ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ამორტიზებადი აქტივის გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ამორტიზებადი აქტივის გასვლა, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება.

ბ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 12,5%;
მანქანა-დანადგარები	- 8-10%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20-50%;
კომპიუტერები და აღჭურვილობა	- 25-50%.
სამშენებლო მოწყობილობები და კონტეინერები	- 20%;
ხელსაწყოები	- 20%;

არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის" სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: **1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.**

2022 წელს: **1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.**

3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	231167	112788	13494
არაბული აიდენი საბანკო ანგარიშებზე	135		
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1465462	531164	1334350
ევრო საბანკო ანგარიშებზე	20138	162837	201
ინგლისური ფუნტი საბანკო ანგარიშებზე	319	41	42
სულ:	1717221	806831	1348087

3.2. მარაგები:

ეს მუხლი, რომელიც 2023 წლის ბოლოს შეადგენს 523478 ლარს, მთლიანად შედგება გასაყიდად გამიზნული საქონლისათვის. 2023 წლის განმავლობაში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გასაყიდი და სარემონტო საქონელი	523478	862647	217851
საწვავ-საცხები მასალები	2222	2592	2500
სხვა სასაქონლო-მატერიალური	6044	7344	4860
სულ:	531744	872583	225211

3.3. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინსწრებით გადახდილ გადასახადებს, მათ შორის, მიღებული ავანსების გამო დარიცხული, შემდგომში აღსადგენი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სამშენებლო მოწყობილობები	14342	0		14342
კომპიუტერები და აღჭურვილობა	2763	1371	1715	3107
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8207	8840	819	186
ელექტრომოწყობილობა გარდა კომპიუტერებისა	14976	3913	228	11291
სხვა და იჯარით აღებული ქონების	3561	332	642	3871
სპეციალური ინსტრუმენტები	754	627	454	581
სატრანსპორტო საშუალებები	44187	17520	19623	46290
სულ:	88790	32602	23480	79668

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენს:

2023 წლის ბოლოს – 23395 ლარი;

2022 წლის ბოლოს – 42664 ლარი.

3.5. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ეს მუხლი შედგებოდა შემდეგი თანხისაგან:

ვალდებულება სავალდებულო საპენსიო სადაზღვევო შენატანებით –30183

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგება სარემონტო-სამშენებლო მომსახურებით (გათბობა, კონდიციონირება, წყალმომარაგების სამუშაოები) მიღებული შემოსავლებიდან - 708689 ლარი. ხოლო სარემონტო-სამშენებლო მასალების გაყიდვიდან - 21562 ლარი. ამ მომსახურების გაწევაზე (სამუშაოების შესრულებაზე) გახარჯული სარემონტო-სამშენებლო მასალების თვითღირებულებაა - 2883836 ლარი, ხოლო გაყიდული მასალების თვითღირებულება შეადგენს 24039 ლარს, რომელიც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით. მიღებული შეკვეთების შესრულებამდე, გამოყენების პროცესში არსებული მასალები აღრიცხულია როგორც მარაგი.

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გაწეულ მომსახურებაზე გახარჯული მასალისთვით ღირებულება	2883866	708689	682435
რეალიზებული მასალის თვითღირებულება	24039	20732	4161
სულ:	2907905	729421	686596

3.7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
საკონსულტაციო ხარჯები	13305	14510
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	842	700
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	12330	7837
დაზღვევის ხარჯები	5369	4710
სოციალური ანარიცხები	19844	15692
საბანკო ხარჯები	24544	17546
მივლინებების ხარჯები	4060	16254
საკომუნიკაციო ხარჯები	7386	6509
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	48791	92040
იჯარის ხარჯი	46760	92040
სულ:	183231	175798

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი:

	2023 წელი	2022 წელი
არასაოპერაციო შემოსავლები	8	11709
სხვა ფინანსური ხარჯი	-13365	-5505
საგადასახადო ჯარიმა საურავი	-517	-47
სხვაჯარიმები და პირგასამტეხლოები	0	-40
სხვა არა საოპერაციო ხარჯი	-846	-3830
საპატრულო ჯარიმა	-1379	-985
სულ:	-16099	1302

3.9. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

2023 წლის კომპანიის ფინანსური შედეგი იყო 1047186 ლარი . შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2023 წლის ბოლოს 1888208 ლარი ბოლოს შედგება 2020-2023 წელს მიღებული მოგების თანხებისაგან, შემცირებული 2022 წლის ზარალით, რომელთა განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.10. სასამართლო დავები

2023 წელს, კომპანიას მიმდინარე სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 24 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 24 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "ფრეშ ვატი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთუფლი: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1717222	806831	1348087	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	996907	159545	122509	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	39325	141580	58167	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	531744	872583	225211	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	531744	872583	225211	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	142111	171281	126770	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	191	276	360	
ძირითადი საშუალებები	88790	79668	60390	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	3516290	2231764	1941494	
ვალდებულებები				
აიჯარო ვალდებულება	5319	4166	206721	
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	127378	136120		
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	30183	5539	4049	3.5
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1465202	1215381	727073	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1628082	1361206	937843	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1888208	870558	1003651	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1888208	870558	1003651	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3516290	2231764	1941494	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3427309	2151820	1880744	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1628082	1361206	937843	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსატყუანებლად 24.09.2024 წ.

သက်တမ်း

ზურაბ ზურაბაშვილი

თქმს ლეონი კანკარტეხიძე: "შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ფრეშ ეარი"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: I GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	5869221	2119047	3.6
მ.შ. - საჭიროების გაყიდვიდან	25328	21562	
- მომსახურების გაწევიდან	5843893	2097485	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-2907905	-729421	3.6
საერთო მოგება	2961316	1389626	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1637673	-1029729	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-23480	-32826	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-46761	-23013	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-183231	-175798	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1891145	-1261366	
საოპერაციო მოგება	1070171	128260	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.8
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-1187	-139037	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-16099	1302	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1052885	-9475	
მოგების გადასახადის ხარჯი	-5699	-23974	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	1047186	-33449	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მგკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1047186	-33449	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	870558	1003651	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაქონთრეზერვზე (მათ შორის დივიდენდი)	-30053	-135853	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	517	36209	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1888208	870558	

ფინანსური ანგარიშგება დასტავიებულია გამოსაცემუნებლად 24.09.2024 წ.

დირექტორი:



ზურაბ ზურაბაშვილი

თანხლები გაწეულია შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ფრეშ ეარი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	990724	-216161
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-31348	-51638
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-41915	-129060
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	917461	-396859
სავალუტო კურსის ეფექტი	-7070	-144397
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	806831	1348087
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1717222	806831

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემებლად 24.09.2024 წ.

დირექტორი:



ზურაბ ზურაბაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

